უფასო

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარიატის ბრძა-
ნებათა და განკარგულებათა

კრებული

№ 10 | წელიწადი მეექვსე | 1942 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 5280—ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გამო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლ. 13 აგვისტოს მიღებული დადგენილების შესრულების შედეგების შესახებ 2
2. ბრძანება № 5690—პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის საქმეში განათლების ორგანოებისა და სკოლების მონაწილეობის შესახებ 9
3. საბავშვო ბაღების, სკოლამდელი ინტერნატების და საბავშვო მოედნების სოციალისტური შეჯიბრების პირობები 13
4. გასწორება 16

Обязательный экземпляр

ქსის სახ. საქ. სახელმწიფ
საჯარო
ბიბლიოთეკა

თბილისი — 1942

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 5280

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1942 წლის 15 ოქტომბერი

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გამო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 13 აგვისტოს მიღებული დადგენილების შესრულების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ლანჩხუთის, ბორჩალოს, ცხაკაიას, კასპის, ჩხარის ჩხოროწყუს, ზესტაფონის, ტყიბულის, გურჯაანის, ვანის, სამტრედიის, ხობის, თეთრიწყაროს რაიონებსა, აჭარის ავტონომიურ სსრ-ესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1942/43 სასწავლო წლისათვის მზადების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1942 წლის 13 აგვისტოს მიღებული დადგენილების შესრულების შედეგებს, აღვნიშნავ: რომ ლანჩხუთის (განათლების განყოფილების გამგე გ. ჩხაიძე), ტყიბულის (განყოფილების გამგე—ე. ბუბაშვილი), ზესტაფონის (განყოფილების გამგე—ა. ნიქაბაძე), ვანის (განყოფილების გამგე—მახარაძე), ხობის (განყოფილების გამგე—ბუკია), თეთრიწყაროს (განყოფილების გამგე—სიმონიშვილი) და ბათუმის (განყოფილების ხამგე—აბესაძე) რაიონების განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა დროულად ჩაბეს ახალ სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში მოზრდილი მოსწავლეები და კოლმეურნეები, დაამზადეს და შეიძინეს საჭირო საშენი მასალები, ხარისხიანად და დროულად შეაკეთეს სასკოლო შენობები და ინვენტარი, შეიძინეს ახალი მერხები, მაგიდები, დაფები და კარადები, სკოლების დიდი უმრავლესობა მოამარაგეს სათბობი მასალით, გადაჭარბებით შეასრულეს ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა, წესრიგში მოიყვანეს სასკოლო კაბინეტები, ბიბლიოთეკები და სკოლის კარმიდამო, ზუსტად აღრიცხეს 8 წლიანი ბავშვები, წინა წლებში სკოლიდან ჩამოცილებული მოსწავლეები, ევაკუირებული ბავშვები და შესძლეს მათგან უმრავლესობის ჩაბმა სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამასთან ერთად !აქართველოს სსრ მთელ რიგ რაიონებში მრავალი სკოლა მოუმზადებელი შეხვდა ახალ სასწავლო წელს:

ა) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში (განყოფილების გამგე—კოკოევი) და ჩხარის რაიონში (განყოფილების გამგე—პეტროსოვი) სკოლაში ჩასაბმელ მოსწავლეთა აღრიცხვის საქმეს ხელმძღვანელობა არ ეწეოდა, რის გამოც სკოლაში ჩასაბმელ ბავშვების რაოდენობა ცალკე სკოლებისა და რაიონების მიხედვით არ იყო გამორკვეული;

ბ) ჩხოროწყუს, სამტრედიის, კასპის და გურჯაანის რაიონებში რემონტისათვის და სასკოლო ინვენტარის შესაძენად განკუთვნილი თანხების ასათვისებლად დროულად არ იქნა მიღებული ზომები, ჩხოროწყუს რაიონში (განყოფილების გამგე—პაპასკირი) სასწავლო წლის დასაწყისისათვის აუთვისებელი დარჩა 17.584 მან., კასპის რაიონში (განყოფილების გამგე—საჩალელი)—20.000 მანეთზე მეტი, ასევე, მთლიანად არ იყო ათვისებული თანხები სამტრედიისა და გურჯაანის რაიონებში, რის გამოც ამ რაიონების ზოგიერთი სკოლა არ იქნა შეკეთებული;

გ) ცხაკაიას, კასპის, ჩხოროწყუს, ბორჩალოს, ხობის, სამტრედიის, გურჯაანის და ზოგი სხვა რაიონის განათლების განყოფილება სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სკოლების სათბობი მასალით მომარაგების საქმეს: ჩხოროწყუს რაიონში სკოლებისათვის 1130 კმ. შეშიდან დამზადებულია მხოლოდ 50-%, მაგრამ ადგილზე არც ეს არის მიზიდული, სამტრედიის რაიონში ნაცვლად 750 კბ. სექტემბრისათვის დამზადებული იყო მხოლოდ 350 კბ შეშა, ასევე, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, გურჯაანის, ვანის, კასპის, ქობულეთის და ზოგიერთი სხვა რაიონის სკოლების უმეტესი ნაწილი, დღემდე არ არის უზრუნველყოფილი სათბობი მასალით;

დ) გურჯაანის, კასპის, ქობულეთის, სამტრედიის, ვანის, ბორჩალოს რაიონებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ რიგ სკოლებში მოუვლელია სასკოლო კაბინეტები და სასკოლო ინვენტარი. სასკოლო ოთახებსა, დერეფნებსა და ეზოებში ანტისანიტარული მდგომარეობაა (ქ. ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა, ქობულეთის რაიონის სოფ. დიმიტროვკის საშუალო სკოლა, ბორჩალოს რაიონის სარვანის საშუალო სკოლა, სამტრედიის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლები, ვანის რაიონის სალხინოს და შუამთის საშუალო სკოლები და სხვ.);

ე) გამოკვლეული რაიონების უმეტეს ნაწილში სრულებით მოუწესრიგებელ მდგომარეობაშია სასკოლო საპირფარეშოები. საპირფარეშოები მასწავლებელთათვის ცალკე არ არის გამოყოფილი, მოსწავლეთათვის საპირფარეშოების თვლების რაოდენობა საკმაო არ არის და საპირფარეშოთა მოვლა-გასუფთავებას ყურადღება არ ექცევა;

ვ) სამტრედიის, ხობის, ქობულეთის, კასპის, გურჯაანის, ჩხარის და ცხაკაიას რაიონებში სათანადოდ არ ხორციელდება თავდაცვითი ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წლის 14 ნოემბრის დადგენილება: სკოლების უმეტეს ნაწილს არ გააჩნია თავშესაფრები და ხანძრის საწინააღმდეგო ხელსაწყო-იარაღები. ჩხარის რაიონის სკოლები არ იცნობენ თავდაცვით ღონისძიებათა შესახებ განსახკომის კოლეგიის 1941 წლის 14 ნოემბრის დადგენილებას და ამ მიმართულებით რაიონში მუშაობა არ სწარმოებს.

ამასთან ერთად სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 13 აგვისტოს დადგენილების მთელი რიგი მუხლები რესპუბლიკის ზოგიერთ სამეურნეო და სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დღემდე არ არის შესრულებული;

ა) მიმდინარე წელს საქართველოს ცეკავშირს სოფლის სკოლებისათვის არცერთ რაიონში არ შეუზიდავს ცარცი; ამას გარდა, გურჯაანის, ჩხოროწყუს, ჩხარის და ბორჩალოს რაიონებში არ არის შეზიდული ფანქარი, კალმისტარი, მელანი და სხვა სასწავლო ნივთები, რაც საფრთხეს უქმნის სწავლის ნორმალურად მსვლელობის საქმეს;

ბ) მხოლოდ ნაწილობრივ არის შესრულებული ქაღალდ-მომარაგების საქართველოს კანტორისა და ინგურის ქაღალდის კომბინატისადმი მიცემული დავალება სახელმძღვანელოების, რვეულებისა და სასკოლო დოკუმენტების გამოსაცემად სხვადასხვა ხარისხის ქაღალდის გამოყოფის შესახებ (404 ტონის ნაცვლად გამოყოფილია 56 ტონა ქაღალდი, რის შედეგად ნაცვლად 44 სახელწოდების სახელმძღვანელო წიგნისა 23 სახელწოდების წიგნია გამოცემული და მესამე კვარტალში 6 მილიონი ცალი რვეულის ნაცვლად ფაქტიურად დამზადებულია 1.877.500 ცალი რვეული ე. ი. გეგმის 31%);

გ) ასევე, საქართველოს სარეწაო საბჭო არ ასრულებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 13 აგვისტოს დადგენილებით მოცემულ დავალებას ყოველთვიურად 25.000 ცალი ასპიდის რვეულის დამზადების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ დღემდე შეუსრულებელია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დავალება 10.000 ცალი სამელნის დამზადების შესახებ, ასპიდის რვეულებისათვის ტალკის ცარცის დამზადების საქმეში ადგილი აქვს ჩამორჩენას, ნაცვლად 100.000 ცალისა, დღემდე მხოლოდ 12.000 ცალია დამზადებული.

საქართველოს სსრ სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 13 აგვისტოს დადგენილების შესრულების საქმეში ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების უზრუნველსაყოფად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

წინადადება მიეცეს ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების გამგეს, პირველ რიგში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ჩხარის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ადგილზე შეისწავლონ სკოლის გარედ დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვთა აღწერის დარგში სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობა და უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყონ 8 წლიანი და წინა წლებში სკოლიდან ჩამოცილებული ყველა ბავშვის ჩაბმა სათანადო კლასებში;

ბ) ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ევაკუირებული და სხვადასხვა ოჯახური პირობების გამო ქალაქებიდან დროებით საცხოვრებლად სოფლად ჩამოსულ ბავშვებს და ამ საკითხზე საქართველოს სსრ განსახკომის 1942 წლის 17 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე ყველა მათგანი დაუყოვნებლივ ჩააბან სკოლებში.

§ 2

ჩხოროწყუს, სამტრედიის, ქობულეთის, კასპის და გურჯაანის განათლების განყოფილებათა გამგეებმა შეარჩიონ ისეთი სკოლები, რომელთა შენობები და ინვენტარი საჭიროებენ შეკეთებას და აუთვისებელი თანხები მოახმარონ ამ სკოლებს; სკოლების შენობებისა და ინვენტარის შეკეთება დაასრულონ არა უგვიანეს მ/წ 15 ნოემბრისა:

ბორჩალოს რაიონის განათლების განყოფილებამ ამავე დროისათვის დაამთავროს სარვანის საშუალო სკოლის შენობისა და ინვენტარის შეკეთება და სკოლის ეზოს შემორაგვა.

§ 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილებებმა დაუყოვნებლივ შეისწავლონ ცალკე სკოლების სათბობით მომარაგების მდგომარეობა. ამ დარგში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად დააყენონ საკითხი რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე და უზრუნველჰყონ სკოლების სათბობით მომარაგების შესახებ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 13 აგვისტოს დადგენილების დროულად და მთლიანად შესრულება.

§ 4

რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა საფუძვლიანად შეისწავლონ სკოლების მიერ სამხედროთავდაცვითი ხაზით ჩატარებული მუშაობა, განაზოგადონ მოწინავე სკოლების გამოცდილება. ამ დარგში ჩამორჩენილ სკოლებს ადგილზე გაუწიონ შესაფერი დახმარება და საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წლის 14 ნოემბრის დადგენილებისა და სხვა დირექტივების საფუძველზე დაუყოვნებლივ უზრუნველყონ:

ა) საშუალო სკოლების სამხედრო კაბინეტების შევსება საჭირო იარაღ-მოწყობილობით (პრაქტიკული ვარჯიშობისთვის დაბრკოლებათა ზოლისა და სხვათა მოწყობა);

ბ) ხანძრის საწინააღმდეგო ხელსაწყო იარაღების შეძენა, სადაც ასეთი არ არის, და არსებულის წესრიგში მოყვანა;

გ) შუქშენიღბვის მოწყობა დადგენილი წესის მიხედვით;

დ) თავსაცავების გაკეთება, სადაც ასეთები არ არის, ხოლო სადაც არის, მათი შეკეთება, და

ე) მორიგეობის საქმის სათანადოდ მოწესრიგება.

§ 5

სკოლის ინვენტარისა და კაბინეტების მოწყობილობათა დაცვისა და სკოლებში მტკიცე სანიტარული რეჟიმის დაწესების მიზნით, განათლების განყოფილებებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო ინვენტარისა და კაბინეტ-ლაბორატორიების იარაღ-მოწყობილობათა სუფთად მოვლის საქმეს, მათ ზუსტად აღრიცხვას საინვენტარო წიგნებში და ინვენტარის ისეთ ადგილებზე შენახვას, რომ მათი დაზიანება თავიდან იქნეს აცილებული;

ბ) სისტემატური კონტროლი დააწესონ სკოლებზე და იმ სკოლის დირექტორის (გამგის) დასჯის საკითხი, რომელიც ვერ უზრუნ-

ველჰყოფს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის შესახებ საქართველოს სსრ განსახკომის დებულებით გათვალისწინებული [illegible] დაცვას, დააყენონ განსახკომის წინაშე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გაამრავლონ მოსწავლეთა საპირფარეშოების თვლების რაოდენობა. სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის შესახებ არსებულ დებულებაში დადგენილი ნორმების შესაბამისად, მოაწესრიგონ სკოლებში საპირფარეშოების სისტემატურად დასუფთავების საქმე და ერთი თვის ვადაში ყველა სკოლაში მოაწყონ ცალკე საპირფარეშოები მასწავლებელთათვის;

დ) მასწავლებლებისა და განსაკუთრებით კლასის ხელმძღვანელების მეშვეობით ჩაატარონ მოსწავლეებში ახსნა-განმარტებითი მუშაობა სკოლის ქონების მოვლა-დაცვისა და სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის შესახებ და აღკვეთონ კედლების, მერხების, სკამებისა და სხვა სასკოლო ინვენტარის დაჭრა, დაჯღაბნა, დასვრა და გაფუჭება.

განათლების განყოფილებათა გამგეებმა სისტემატური მეთვალყურეობა დააწესონ სავაჭრო წერტილების მუშაობაზე არსებულ და ახლად მიღებულ სასწავლო ნივთების (რვეული, ფანქარი, კალმისტარი, საშლელი, მელანი და სხვა) სკოლებზე მიზანშეწონილად განაწილებისა და სკოლებამდე მათი დაყვანის დარგში და არ დაუშვან ამ ნივთების არასწორად განაწილება.

ამასთანავე, ფართოდ გააცნონ სკოლებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 13 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე სკოლების მეშვეობით სახელმძღვანელოების ყიდვა-გაყიდვის შესახებ საქართველოს სსრ განსახკომის, ფინსახკომის, სახელგამისა და ცეკავშირის მიერ გამოცემული ინსტრუქცია და წიგნების ყიდვა-გაყიდვა აწარმოონ ამ ინსტრუქციის საფუძველზე.

§ 6

სკოლის ასაკის ბავშვების აღრიცხვის საქმეში უმოქმედობის გამოჩენისათვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ მიმდინარე წლის 15 სექტემბრისათვის არ იყო გამორკვეული სკოლებში ახლად ჩასაბმელი ბავშვების რაოდენობა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს კოკოევას და ჩხარის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს პეტროსოვს მიეთითოთ; დაევალოს მათ პირადი პასუხისმგებლობით 25 ოქტომბრამდის უზრუნველჰყონ 8 წლიანი ბავშვების, წინაწლებში განთესილ, ევაკუირებულ და ქალაქებიდან სოფლად დროებით საცხოვრებლად გადასული მოსწავლეების აღრიცხვა და სათანადო კლასებში ჩაბმა, დაევალოს მათვე,

სპეციალური მოხსენებითი ბარათით აცნობონ განსახკომს ამა წლის 15 ნოემბრამდე, ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

§ 7

დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ და საშუალო სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა ა/წ 5 ნოემბრამდე შეადგინონ ინსტრუქციები სკოლის შენობისა, საკლასო ოთახებისა და სკოლის კარმიდამოს კეთილმოწყობისა და სასკოლო დოკუმენტების წარმოებისა და მოვლა დაცვის შესახებ.

§ 8

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით სასკოლო დოკუმენტაციისათვის გამოყოფილი ქაღალდის ფონდის დროზე მიღების მიზნით სახელგამმა მიავლინოს პასუხისმგებელი მუშაკი ენგურის ქაღალდის კომბინატში. ამ ქაღალდიდან, პირველ რიგში დაბეჭდილი იქნეს წარმატების მეოთხედური აღრიცხვის ბლანკები.

§ 9

დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ ოქტომბრისა და ნოემბრის განმავლობაში ადგილზე შეამოწმოს განათლების განყოფილებებისა და სკოლების მიერ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მომახსენოს პირადად მე.

§ 10

საქართველოს სსრ-ს იმ სამეურნეო და სავაჭრო ორგანიზაციების საკითხი, რომლებიც ვერ ასრულებენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 13 აგვისტოს დადგენილებით მოცემულ დავალებებს სასკოლო ნივთების დამზადებისა და მათი ადგილებამდე დროულად დაყვანის დარგში, დაისვას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წინაშე.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე

მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 5690

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1942 წ. 19 ნოემბერი

პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის საქმეში განათლების ორგანოებისა და სკოლების მონაწილეობის შესახებ

ვანიჭებ რა დიდ მნიშვნელობას მოზარდი თაობის სამხედრო-ფიზიკური მომზადებისა და შრომითი აღზრდის გაუმჯობესებისათვის პიონერ ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნას, ვბრძანებ:

§ 1.

დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას და რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს:

ა) ა/წ 20 ნოემბრამდე განიხილონ სკოლის დირექტორების სარაიონო თათბირებზე ალკკ საკავშირო ც. კ-სა და ალკკ საქართველოს ც. კ-ის დადგენილებანი პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის შესახებ და ამ დადგენილებათა დროულად განხორციელების მიზნით დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი;

ბ) სათანადო დახმარება აღმოუჩინონ კომკავშირის საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს პიონერრაზმების უფროსი ხელმძღვანელების შერჩევის საქმეში;

გ) პიონერთა სამხედრო-ფიზიკური მომზადებისა და შრომითი აღზრდის საქმის არსებითად გაუმჯობესების მიზნით შეუქმნან სკოლებში პიონეროორგანიზაციებს სათანადო პირობები, სადაც შესაძლებელია გამოჰყონ შრომითი ოთახები და მოამარაგონ ისინი სათანადო იარაღმოწყობილობით, მისცენ საშუალება პიონეროორგანიზაციებს ისარგებლონ სკოლაში არსებული სამხედრო საჭურველით, ტირით, დაბრკოლებათა ზოლით და ფიზკულტურის დარბაზებით;

დ) გაუწიონ დახმარება კომკავშირის საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს საზამთრო არდადეგის პერიოდში უფროსი

პიონერ-ხელმძღვანელების გადამზადების მიზნით 10 დღიანი კურს-კონფერენციების მოწყობის საქმეში და უზრუნველჰყონ ამ პერიოდში უფროსი პიონერ-ხელმძღვანელების მივლინება კურს-კონფერენციაზე დასასწრებლად;

ე) აქტიური მონაწილეობა მიიღონ პიონეროორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ არსებული დირექტივების ახსნა-განმარტების საქმეში; დაწყებითი, არასრული-საშუალო და საშუალო სკოლის მუშაობის ყოველი გამოკვლევისას შეისწავლონ პიონერთა შორის მუშაობა. დახმარება გაუწიონ პიონერ-ხელმძღვანელებს და უზრუნველჰყონ მოწინავე პიონერ-ხელმძღვანელების მუშაობის ფართოდ განზოგადება რაიონისა და ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში.

§ 2

არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) ა/წ 30 ნოემბრამდე განიხილონ სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე პიონეროორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის საკითხი და დასახონ სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი;

ამასთან ერთად, კლასის ხელმძღვანელების საშუალებით თითოეულ მოსწავლეს ფართოდ განუმარტონ პიონერთა შორის მუშაობის გარდაქმნის დიდი მნიშვნელობის შესახებ სამამულო ომის პირობებში;

ბ) იგივე საკითხი ამავ ვადებში განიხილონ მოსწავლეთა ორგანიზაციების წარმომადგენლების სხდომაზე, მისცენ სათანადო ახსნა-განმარტება მოსწავლეთა ორგანიზაციების პიონერთა შორის მუშაობის გარდაქმნის მნიშვნელობის შესახებ და შეუწყონ მათ ხელი მოსწავლეთა ორგანიზაციების მუშაობის ახალ მოთხოვნილებათა საფუძველზე გარდაქმნის საქმეში;

გ) ცალკე კლასების მიხედვით ჩაატარონ საუბრები მშობელთა შორის, განუმარტონ მათ პიონერთა შორის მუშაობის გარდაქმნის მნიშვნელობა და მისცენ მშობლებს პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი ბავშვთა სამხედრო-ფიზიკური მომზადებისა და შრომითი აღზრდის შესახებ;

დ) პიონერთა სამხედრო-ფიზიკური მომზადებისა და შრომითი აღზრდის საქმის გარდაქმნის მიზნით, შეუქმნან მუშაობისათვის ყველა საჭირო პირობები პიონერრაზმების ხელმძღვანელებს (ბინის გამოყოფა, საჭირო იარაღმოწყობილობათა შეძენა, ლიტერატურის შერჩევა და სხვ.) და პირადად კლასის ხელმძღვანელების საშუალებით გაუწიონ მათ დახმარება ყოველდღიურ მუშაობაში.

§ 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს ამხ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა ბრელთა სასახლეს, ნორჩტექნიკოსთა ცენტრალურ ტექნიკურ სადგურს, პიონერთა და მოსწავლეთა სარაიონო სახლებსა და კლუბებს, ნორჩტექნიკოსთა სადგურებს, კულტურისა და დასვენების პარკებს და საქალაქო და სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკებს:

ა) ა/წ ნოემბრის 30 რიცხვამდე განიხილონ საბჭოების სხდომებსა და თანამშრომელთა საერთო კრებებზე ალკკ საკავშირო ც.კ.-სა და ალკკ საქართველოს ც.კ-ის დადგენილებანი პიონერთა შორის მუშაობის გარდაქმნის შესახებ და ბავშვთა სამხედრო ფიზიკური მომზადებისა და შრომითი აღზრდის გაუმჯობესების საქმის პრაქტიკულად გარდაქმნის მიზნით შეიტანონ სათანადო ცვლილებები სამუშაო გეგმებში;

ბ) ალკკ რაიკომთან (ქალაქკომთან) და განათლების განყოფილებებთან შეთანხმებით, თვეში ორჯერ, მოაწყონ სემინარები პიონერთა რაზმებისა, შტატების უფროსებისა და რგოლების ხელმძღვანელებისათვის ცალცალკე, სემინარებზე განიხილონ პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები;

გ) მტკიცე კავშირი დაამყარონ დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებთან, აწარმოონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსწავლეთა შორის პიონერორგანიზაციების წინაშე დასმული ახალი ამოცანების შესახებ და უზრუნველჰყონ მოსწავლეთა, რაც შეიძლება, მეტი რაოდენობით ჩაბმა სამხედრო-ფიზიკურ მომზადებასა და შრომით საქმიანობაში;

დ) ემზადონ ალკკ საკავშირო ც.კ-ს დადგენილების საფუძველზე ლ ე ნ ი ნ ი ს გარდაცვალების ხსოვნის აღსანიშნავად 1943 წლის 22 იანვრისათვის პიონერთა შრომითი გამოფენის მოსაწყობად, ამ თავითვე მიიღონ საჭირო ზომები, რათა საბავშვო კლასგარეშე დაწესებულებაში ფართოდ გაიშალოს შრომითი საქმიანობა და გამოფენაზე თითოეულ მოსწავლეს შეეძლოს თავისი ხელით გაკეთებული ხელსაწყო იარაღის ნიმუშის წარმოდგენა.

§ 4

საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებით და საშუალო სკოლის სამმართველომ:

ა) უზრუნველჰყოს განათლების განყოფილებანი და სკოლები პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ არსებული სადირექტივო და საინსტრუქციო ხასიათის მასალებით:

ბ) გაუწიოს განათლების განყოფილებებსა და სკოლებს ოპერატიული დახმარება პიონერთა შორის მუშაობის გარდაქმნის საქმეში და ფართოდ განაზოგადოს ამ დარგში მოწინავე განათლების განყოფილებებისა, სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებების გამოცდილება.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1942 წ. 16 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქისა და ყველა რაიონის განათლების განყოფილებებს, სკოლამდელ დაწესებულებათა და საბავშვო სახლების მუშაკთა კავშირის ოლქკომებს, რაიკომებს და რწმუნებულებს

5 დეკემბერი 1942 წ.

გეგზავნებათ საქ. სსრ საბავშვო ბაღების სოციალისტური შეჯიბრების პირობები სამამულო ომის პერიოდში, გევალებათ დაიყვანოთ ისინი სკოლამდელ მუშაკთა ფართო მასებამდე, მობილიზაცია უყოთ მათ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლისათვის და საბავშვო ბაღებში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ვაძლევთ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებას, საუკეთესო რაიონების, საბავშვო ბაღებისა და მუშაკების დაჯილდოებისათვის წამოყენებას, სსრ განსახკომი და სკოლამდელ დაწესებულებათა და საბავშვო სახლების მუშაკთა კავშირის რ. კ. მოითხოვენ კანდიდატების დიდი ყურადღებით შერჩევას, მათი მუშაობის ღრმა შესწავლის საფუძველზე.

მასალები კანდიდატების დაჯილდოებისათვის უნდა წარმოდგენილი იქნეს 1943 წლის 1 ივლისისათვის.

მასალები უნდა გადმოგზავნოთ შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ველიამინოვის ქ. № 15, სკოლამდელ დაწესებულებათა და საბავშვო სახლების მუშაკთა რესპუბლიკური კავშირი.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილე მ. ბურჯულაძე

სკოლამდელ დაწესებულებათა და საბავშვო სახლების მუშაკთა ც. კ. თავმჯდომარე თ. ჯყონია

საბავშვო ბაღების, სკოლამდელი ინტერნატების და საბავშვო მოედნების სოციალისტური შეჯიბრების პირობები

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი და სკოლამდელი დაწესებულებათა და საბავშვო სახლების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი სკოლამდელ მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლისათვის სამამულო ომის პერიოდში საბავშვო ბაღების, საბ. ინტერნატების და საბ. მოედნებისათვის აცხადებს, სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

საბავშვო ბაღებისა და ინტერნატებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის საბავშვო ბაღები და ინტერნატები, რომლებსაც ექნება შემდეგი მაჩვენებლები:

1. წითელ არმიაში გაწვეულთა და მარტოხელა დედების (რომლებიც წარმოებაში, დაწესებულებაში მუშაობენ) ბავშვების ჩარიცხვის გეგმის შესრულება, ჯგუფების სრული დაკომპლექტება, საბავშვო ბაღის გაფართოება შენობის მიზანშეწონილად გამოყენების თვალსაზრისით.

2. საბავშვო ბაღის და ინტერნატის სანიტარული მდგომარეობის სანიმუშოდ დაცვა, ბავშვების კარგად მოვლა. მათი ჯანმრთელობის სათანადოდ დაცვა და გამაგრება, პროფილაქტიკური ღონისძიებების დროულად ჩატარება.

3. აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი ხარისხი, ბავშვებზე დედობრივი მზრუნველობა: ბავშვთა კოლექტივის კარგი ორგანიზაცია, მრავალფეროვანი თამაშობისა და მეცადინეობის ჩატარება; მომუშავეთა კოლექტივთან სისტემატური მეთოდური ღონისძიებების ჩატარება.

4. მეურნეობის მოწყობა, ფულადი სახსრების მომჭირნეობით ხარჯვა, ბავშვების კარგად კვება, საბავშვო ბაღის, ინტერნატის ქონებისადმი ფრთხილი მოპყრობა.

5. დამხმარე მეურნეობის სანიმუშოდ მოწყობა.

6. ზამთრისათვის დროული და სათანადო სამზადისის ჩატარება, შენობის შეკეთება და გათბობა, სურსათ-სანოვაგისა და სათბობი მასალის დამზადება და მისი მომჭირნეობით ხარჯვა.

7. საკოლმეურნეო საბავშვო მოედნებისათვის დახმარების კარგი ორგანიზაცია.

8. მშობლებთან მუშაობის კარგად დაყენება, ინფორმაციების მოწყობა მათთან სისტემატურად ბავშვების განწყობისა და ჯანმრ-

თელობის შესახებ. წითელ არმიელთა ოჯახებისადმი დახმარების გაწევა, საზოგადოებრივობის და ქალთა აქტივის საბ. ბალისა და ინტერნატის მუშაობაში მოხერხებულად მიზიდვა.

9. საბ. ბალისა და ინტერნატის მუშაკების მიერ მაღალი სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვა, აქტიური მონაწილეობის მიღება მათ მიერ ყველა იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისაკენ, მოსახლეობაში სააგიტაციო—პროპაგანდისტული მუშაობის ჩატარება, იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიური დონის სისტემატური ამაღლება.

10. საბავშვო ბალისა და ინტერნატის კარგად მომზადება საჰაერო ქიმიური თავდაცვისათვის.

საბავშვო მოედნებისათვის

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლება ის საბ. მოედანი, რომელსაც ექნება შემდეგი მაჩვენებლები:

1. კოლმეურნეობის წევრების ბავშვების საბ. მოედანზე ჩარიცხვის გეგმის შესრულება, საბავშვო მოედნის სრული დაკომპლექტება ბავშვებით.

2. საბ. მოედნის სანიტარული მდგომარეობის სანიმუშოდ დაცვა, ბავშვების კარგი მოვლა, მათი ჯანმრთელობის დაცვა და გამაგრება ზაფხულის პერიოდში, პროფილაქტიკური ღონისძიებების დროულად ჩატარება.

3. აღმზრდელობითი მუშაობის კარგად დაყენება, თითოეულ ბავშვისადმი დედობრივი მზრუნველობა, ბავშვთა კოლექტივის კარგი ორგანიზაცია მრავალფეროვანი თამაშობებისა და მეცადინეობის ჩატარება.

4. საბ. მოედნის მეურნეობის მოწესრიგება. ფრთხილი მოპყრობა მისი ქონებისადმი, ბავშვების კარგი კვება.

5. საზოგადოებრიობის მიზიდვა საბ. მოედნისადმი, მშობლებთან მუშაობის კარგად დაყენება.

6. საბ. მოედნის მომუშავეების მიერ მაღალი სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვა, მათი აქტიური მონაწილეობა, ყველა იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისაკენ, იდეურ-პოლიტიკურ და პედაგოგიური დონის ამაღლება.

7. საბავშვო მოედნის კარგი მომზადება საჰაერო-ქიმიური თავდაცვისათვის.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლება ხელმძღვანელები, რომელთაც ექნებათ შემდეგი მაჩვენებლები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ბავშვთა აღზრდის საქმის წარჩინებულად დაყენება.

2. ბავშვებისადმი დედობრივი მზრუნველობა, გულთბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება თითოეულ ბავშვისადმი, მათი კარგი მოვლა.

3. მშობლებთან მუშაობის კარგად დაყენება. წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახებისადმი დახმარების გაწევა, მშობლებთან სისტემატური ინფორმაციების ჩატარება ბავშვთა ჯანმრთელობისა და განწყობის შესახებ.

4. თავის თავზე ყოველდღიური მუშაობა იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიური დონის აქაღლებისათვის.

5. კოლმეურნეობებთან არსებული საბ. მოედნებისათვის დახმარების გაწევა.

6. აქტიური მონაწილეობის მიღება მოსახლეობას შორის იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომელიც მიმართულია თავდაცვის საქმის გამტკიცებასა და სააგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობისაკენ.

რაიონის, ან ოლქის საუკეთესო განათლების განყოფილებად, ან ავტონომიური რესპუბლიკის საუკეთესო განსახკომად ჩაითვლება ეს, რომელსაც ექნება შემდეგი მაჩვენებლები:

1. კოლმეურნეობებთან საბავშვო მოედნების გახსნის გეგმის შესრულება. საბ. მოედნების გახსნა კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან.

2. საბ. ბაღებში წითელარმიაში გაწვეულთა, ევაკუირებულ მშობლების და მარტოხელა დედების (რომლებიც წარმოება-დაწესებულებაში მუშაობენ) ბავშვების ჩარიცხვის მოთხოვნილების მთლიანი დაკმაყოფილება.

3. საბ. ბაღების, საბ. მოედნებისა და ინტერნატების, სანიმუშო სანიტარული მდგომარეობა, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა და გამაგრება ზაფხულის პერიოდში.

4. საბ. ბაღებისა და ინტერნატების დროული სათანადო მომზადება ზამთრისათვის.

5. საბავშვო ბაღებთან და ინტერნატებთან დამხმარე მეურნეობის მოწყობა.

6. საბავშვო ბაღებში, ინტერნატებში და საბ. მოედნებზე აღმზრდელობითი მუშაობის კარგად დაყენება.

7. მეთოდური მუშაობის კარგად დაყენება რაიონში, ოლქში და კოლმეურნეობებთან არსებულ საბავშვო მოედნებისადმი ქალაქის საბავშვო ბაღების მიერ დახმარების გაწევა.

საქ. განათლების სახალხო კომისარიატი და სკოლამდელ დაწესებულებათა და საბავშვო ბაღების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი მიზანშეწონილად თვლიან:

დაწესდეს ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქსა და რაიონებში წითელი დროშა განათლების განყოფილებისა და სკოლამდელი დაწესებულებების კავშირების რაიკომებთან და გადაეცეს ის რაიონის საუკეთესო საბავშვო ბაღსა და მოედანს.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდეს ყოველ სამ თვეში ერთხელ.

საქ. განათლების სახ. კომისარიატი და სკოლამდელ დაწესებულებათა და საბ. სახლების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი წითელ დროშას მიაკუთნებენ რესპუბლიკის საუკეთესო საბ. ბაღს, ინტერნატს, საბ. მოედანს, საუკეთესო, რაიონის, ოლქის განათ. განყოფილებას, ან ავტ. რესპუბლიკის განათ. კომისარიატს.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგები რესპუბლიკაში შემოწმდეს წელიწადში ორჯერ.

საუკეთესო აღმზრდელები, სკოლამდელი დაწესებულებებისა და ინტერნატის გამგეები და მომსახურე პერსონალი იღებს წარჩინებულის სიგელს.

საბავშვო ბაღის, ინტერნატის და საბავშკო მოედნების გამგეები მიიღებენ საპატიო ნიშანს იმ შემთხვევაში თუ მათი დაწესებულება გაიმარჯვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი და სკოლამდელ დაწესებულებათა და საბავშვო სახლების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი მოუწოდებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაკებს მიიღოს აქტიური მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავდადებული მუშაობით ხელი შეუწყონ ფაშისტური ოკუპანტების დაჩქარებით განადგურებას.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილე მ. ბურჯულაძე

სკოლამდელი დაწესებულებათა და საბავშვო სახლების მუშაკთა ც. კ. თავმჯდომარე თ. ჯუღნია

განწოდება

საქ. სსრ განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული № 8—9-ში (1942 წ) ტექნიკური მიზეზებით დაშვებული შეცდომა უნდა გაასწოროთ შემდეგი სახით:

მე-8 გვ. სტრიქ ზემოდან 22-ე არის ს. ეული „სამშობლოსათვის სტალინისათვის“ (ლექსი) უნდა გასწორდეს ამგვარად:

7. გ. ლეონიძე — ბიოგრაფია, და გ. ლეონიძე — „სამშობლოსათვის სტალინისათვის“ (ლექსი) და შემდეგ ისე როგორც დაბეჭდილია,

აღნიშნული შესწორება დაუყოვნებლივ დაიყვანეთ თითოეულ სკოლამდე.

პ/მგ. რედაქტორი ბ. ი. ქიზირია

შეკვეთა № 2781 უე14068 ტირაჟი 2000

საქ. ადგ. სახ. კომ.-ის სტამბა, ფურცელაძის ქ. № 5.